

	<p>შპს "ეტალონი"</p> <p>პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო</p> <p>0178, თბილისი, ჩარგლის ქ. № 73, ტელ/ფაქსი (995 32) 261 53 39, www.etaloni.net</p>
<p>ხარისხის სახელმძღვანელო</p>	<p>№ ხს-სო– 20790441- თ.4.5- 2021</p>
<p>კონფიდენციალობა</p>	<p>ვერსია: 03 გვერდი 2 / 2</p>

კონფიდენციალობა

4.5.1. შპს "ეტალონი"-ს სერტიფიკაციის ორგანო, იურიდიული ვალდებულებიდან გამომდინარე, პასუხისმგებელია ყველა ინფორმაციაზე, რომელსაც მიიღებს, ან რომელიც გამოვლინდება სერტიფიკაციის საქმიანობისას, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელსაც მომხმარებელი საჯაროდ ხელმისაწვდომს ხდის, ან როდესაც სერტიფიკაციის ორგანოსა და მომხმარებელს შორის არსებობს შეთანხმება (მაგ., საჩივრებზე რეაგირებისათვის), ყველა სხვა ინფორმაცია სერტიფიკაციის ორგანოს საკუთრებად ითვლება და კონფიდენციალურია. სერტიფიკაციის ორგანომ წინასწარ უნდა აცნობოს მომხმარებელს, თუ რა ინფორმაცია შეიძლება გაასაჯაროს.

4.5.2. როდესაც კანონმდებლობა ან სახელმეკრულებო უფლებამოსილება მოითხოვს სერტიფიკაციის ორგანოსაგან კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემას, მაშინ მომხმარებელს ან დაინტერესებულ პირს, გარდა კანონით აკრძალული შემთხვევებისა, უნდა ეცნობოს აღნიშნულის შესახებ.

4.5.3. სერტიფიკაციის ორგანოდან დოკუმენტაციის სრულად ან ნაწილობრივ გამრავლება და გადაცემა, რომელიც წარმოადგენს სერტიფიკაციის ორგანოს საკუთრებას, შესაძლებელია ხელმძღვანელის მოთხოვნის ან ბრძანების შემთხვევაში, რაზედაც ჩანაწერი სრულდება რვეულში, სადაც მითითებული უნდა იყოს თუ ვინ შეასრულა დოკუმენტის გამრავლება და გადაცემა და ვინ გასცა ამ პროცედურაზე ნებართვა.

4.5.4. კონფიდენციალური ინფორმაციის გასაჯაროების და საკუთრების უფლების დარღვევის შემთხვევაში მომუშავე პერსონალი ისჯება ორგანოში არსებული შინაგანაწესის თანახმად.